

**დანართი №1**  
**2017 წლის 13 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის**  
**შესახებ სტ.№3-17 ხელშეკრულებაზე (CMR170132559)**

**თბილისი**

**30.08.2017წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **ალექსანდრე თევდორაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შპს „ცეკური“**, წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **ბექა ხაბულიანის** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის – საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამსახურის 2017 წლის 30 აგვისტოს №7726-2 მოხსენებითი ბარათისა და 2017 წლის 13 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ.№3-17 ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 2017 წლის 13 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სტ.№3-17 ხელშეკრულებაში (შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჟინვალ-ბარისახო-შატილის საავტომობილო გზის კმ.45-კმ.106 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის დროებითი პრევენციული ღონისძიებების სამუშაოების განხორციელება) და სამუშაოების დასრულების ვადა 2017 წლის 31 აგვისტოს ნაცვლად განისაზღვროს 2017 წლის 14 სექტემბრის ჩათვლით.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

3. მიმწოდებელი ვალდებულია 2017 წლის 25 ოქტომბრამდე წამოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს 2017 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით. საბანკო გარანტიის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს არსებული უპირობო საბანკო გარანტია სრულად და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ დანართით განსაზღვრული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. ეს დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად. ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

**შემსყიდველი**  
**დეპარტამენტის**  
**თავმჯდომარის მოადგილე**  
**ალექსანდრე თევდორაძე**



**მიმწოდებელი**  
**შპს „ცეკური“**  
**აღმასრულებელი დირექტორი**  
**ბექა ხაბულიანი**



6.    